პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 58 (1228) | ხუთშაბათი, 15 მაისი, 1958 წ. | გამოცემის მე-11 წელი. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძირითადი მიზანი

სპარტაკიადების წელი ძალაში შევიდა. თბილისში შეიკრიბნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი სპორტსმენები, რომლებიც რესპუბლიკურ სპარტაკიადას ატარებენ საკავშირო სტუდენტური თამაშების პროგრამით. დამთავრდება ეს ღონისძიება და რიგი თვით საკავშირო თამაშების ჩატარებაზე დადგება. შემდეგ „დინამოს", „სპარტაკის", პროფკავშირების, მოსწავლეთა სპარტაკიადები და ყოველივე ამას დააგვირგვინებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა, რომელიც იქნება საერთაშორისო მნიშვნელობის ერთ-ერთი უდიდესი ღონისძიება.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა მარტო სპორტსმენთა შეჯიბრება როდია. იგი ჩვენს მიერ ამ დარგში გაწეული მუშაობის შემოწმებაცაა. პირველ სპარტაკიადაზე ეს გამოცდა საქართველომ წარმატებით ჩააბარა — მეხუთე ადგილზე გამოვიდა. წელს ახალი ამოცანა დგას რესპუბლიკის სპორტსმენების წინაშე — შეინარჩუნონ, განამტკიცონ და გაზარდონ პირველ სპარტაკიადაზე მოპოვებული წარმატება. ეს მეტად რთული საქმეა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია თითქმის ყველა სახეობაში სპორტის ოსტატებისაგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, მეორეც — პროგრამაში დამატებით შეტანილია სპორტის რამდენიმე სახეობა, და ბოლოს — ძალზე გაიზარდა მოძმე რესპუბლიკების სპორტული მაჩვენებლები. ყოველივე ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება, დავრაზმოთ აქტივი, ყველანი გავიმსჭვალოთ ერთი მიზნით — „საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადას შევხვდეთ ღირსეულად!". მაშინ საქმეც წინ წავა და რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე პირნათლად გამოვალთ.

მართალია, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადამდე ერთ წელზე მეტია, მაგრამ ეს დრო სულ მალე დაილევა და თუ ყველა საზოგადოება, ორგანიზაცია, კოლექტივი ახლავე არ დაიწყებს ზრუნვას ამ უდიდესი ღონისძიებისათვის, შემდეგ გვიან იქნება, ჩამოვრჩებით და ჩამორჩენილებს, როგორც მოგეხსენებათ, თავზე ხელს არავინ გადაუსვამს. ამიტომ საჭიროა, სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში ყველა ღონისძიება სანიმუშოდ ჩატარდეს და, რაც მთავარია, იყოს შედეგიანი. დიახ, შედეგიანი, რადგანაც ახლა გამოვლენილი შედეგები და მათი მეთოდური განვითარება გადაწყვეტს ჩვენი დელეგაციის წარმატების საკითხს ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე.

აი, ახლა თბილისში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური სპარტაკიადა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას თან ახლავს ნაკლოვანებები, რომელთა გათვალისწინება ადრევე შეიძლებოდა. რაც მთავარია, „ბურევესტნიკის" სპარტაკიადამ დაგვანახვა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას სპორტული მუშაობა. განსაკუთრებით დაბალ დონეზეა მძლეოსნობა. აი, ერთი ფაქტიც: მძლეოსანთა შეჯიბრებაზე დიქტორმა თარჯრბენში მონაწილე ქალები სამჯერ გამოიძახა, მაგრამ ბილიკზე არავინ გამოსულა. შემდეგ როგორც იყო გამოჩნდა.. ერთი მონაწილე — მ. ქორიძე, რომელმაც მარტოდმარტოდ რბენაზე უარი განაცხადა. ასეთი დამახასიათებელი ფაქტის მოყვანა კიდევ და კიდევ შეიძლებოდა. ჩვენ „ბურევესტნიკის" სპარტაკიადის ორგანიზატორებს იმიტომ ვუსაყვედურებთ, რომ ჩვენი სპორტული იმედი, მომავალი უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებშია გაერთიანებული, რომ „ბურევესტნიკის" სპარტაკიადის ნაკლოვანებებიდან სათანადო დასკვნები გაკეთოს „განთიადმა", „დინამომ", „სპარტაკმა".

პირველ სპარტაკიადას წინ უძღოდა ნაყოფიერი სააგიტაციო პერიოდი. მოეწყო სააგიტაციო მოტოგადარბენა, ლექციები, მოხსენებები, სპარტაკიადის დებულება დაყვანილ იქნა თვითეულ კოლექტივამდე. ეს მეტად შრომატევადი სამუშაოა და მას ახლავე უნდა შევუდგეთ. საჭიროა აქედანვე დაისვას საკითხი სათანადო ლიტერატურისა და პლაკატების გამოცემის შესახებ. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაში მონაწილეობა მარტო ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ღირსების საქმე როდია — იგი საერთო საქმეა. ყველა ორგანიზაციამ, რომელსაც პირდაპირი, თუ არაპირდაპირი კავშირი აქვს სპორტთან, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მზადებაში. ეს განსაკუთრებით ეხება კულტურისა და ვაჭრობის სამინისტროებს.

ჩვენი ძირითადი მიზანი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლაა, სოციალისტური სამშობლოს სპორტული ღირსების დაცვა!



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს პავილიონი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

## გაიხსნა მოწინავეთა გამოცდილების გამოფენა

11 მაისს მოსკოვში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სხვა პავილიონებთან ერთად მნახველთა ყურადღებას იქცევს პავილიონი „ფიზიკური კულტურა და სპორტი", სადაც ფართოდაა წარმოდგენილი სოფლის მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებმაც 1957 წელს მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში მოიპოვეს წარმატება. აქ შეხვდებით კიევის ოლქის მაკაროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის", ლატვიის საულიანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და სხვა მოწინავე ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს. გემოვნებით გაკეთებული სტენდები მოგვითხრობენ საკოლმეურნეო სოფლის სპორტსმენებზე, ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემაზე და სხვ.

პავილიონი წარმოადგენს მოწინავე გამოცდილების სკოლას. ამიტომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ერთი კვირით ჩამოსული ექსკურსანტებისათვის აქ ყველაფერი გაკეთებულია, რათა ისინი ამომწურავად გაეცნონ მათთვის საინტერესო საკითხებს. ამასთან მნახველები პავილიონში შეიძენენ ლიტერატურას სოფლად სპორტული კოლექტივების გამოცდილების შესახებ.

პავილიონი მოწოდებულია ფართოდ დანერგოს მოწინავეთა გამოცდილება სოფლად. მისი მუშაობა 1958 წელს ძირითადად ამ მიმართულებით წარიმართება.

## 6:1 საბჭოთა ძალოსნების სასარგებლოდ

12 მაისს ჩიკაგოში გაიმართა საბჭოთა ძალოსანთა გუნდის პირველი შეხვედრა ამერიკის ნაკრებთან. უმსუბუქეს წონაში თავის გუნდს პირველი წარმატება მოუტანა საბჭოთა შტანგისტმა ვ. სტოგოვმა, მაგრამ ქვემსუბუქ წონაში აშშ-ს წარმომადგენლის ი. ბერგერის გამარჯვების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა. ეს იყო მასპინძელთა პირველი და უკანასკნელი წარმატება. შემდგომ წონით კატეგორიებში დამაჯერებელ უპირატესობას მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის ძალოსნებმა: ვ. ბუშუევმა, ფ. ბოგდანოვსკიმ, ტ. ლომაკინმა, ა. ვორობიოვმა და ა. მედვედევმა. ანგარიში გახდა 6:1 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში, სამჭიდის ჯამში, საბჭოთა კავშირის რეკორდები დაამყარეს ვ. ბუშუევმა — 390 კილოგრამი, ფ. ბოგდანოვსკიმ — 427.5 და ა. მედვედევმა—507,5. ბუშუევისა და ბოგდანოვსკის ეს შედეგები მსოფლიო რეკორდებს აღემატება.

## გათამაშების ფინალი

პოლონეთის უძველესი ქალაქი ლოძი წარმოადგენს ევროპის VI ჩემპიონატის ჩატარების ადგილს კალათბურთელ ქალთა გუნდებისათვის. ეს შეჯიბრება ტარდება დარბაზში, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვითაა შექმნილი.

პირველობა გაიხსნა საზეიმო ცერემონიალით. სპორტსმენებს მიესალმა კალათბურთის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ვ. ჯონსი. საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდის თავებმა ნ. მაქსიმილიანოვამ, ე. საბომ და ე. მაზლოვამ აღმართეს შეჯიბრების ალამი.

შემდეგ დაიწყო პირველი ტურის თამაშები. სიურპრიზს წარმოადგენდა უნგრეთისა და იუგოსლავიის შეხვედრის შედეგი. დამატებით დროში ანგარიშით — 40:37 მოიგეს იუგოსლაველმა სპორტსმენებმა. ამან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ევროპის ვიცე-ჩემპიონი. და მართლაც, მას შემდეგ, რაც კარგად მომზადებულმა პოლონეთის გუნდმა დაამარცხა იუგოსლაველები (67:47) და უნგრელები (56:40), ფინალში ამ ქვეჯგუფიდან გავიდნენ პოლონეთისა და იუგოსლავიის გუნდები. მეორე ქვეჯგუფში ფინალში გასვლის უფლება მოიპოვეს ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა.

საბჭოთა გუნდმა — ევროპის ჩემპიონმა — პირველი მატჩი ჩაატარა გდრ-ს ახალგაზრდულ კოლექტივთან და მოიგო იგი ანგარიშით 74:25

შემდეგ საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა ფრანგებს. მთელი კოლექტივის შეწყობილმა მოქმედებამ და ოტესას მიერ საჯარიმო სროლების ზუსტმა გამოყენებამ უკვე პირველ ტაიმშივე უზრუნველყვეს უპირატესობა 17 ქულით. შესვენების შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ მეორე შემადგენლობის მოთამაშენი (მაქსიმოვა, ტულევიჩუტე და სხვ.). საერთო ანგარიშია — 66:41 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

13 მაისს დაიწყო ფინალური შეხვედრები. თამაშობდნენ: პოლონეთი-იუგოსლავია, საფრანგეთი-ბულგარეთი და საბჭოთა კავშირი-ჩეხოსლოვაკია. აღსანიშნავია, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა შეხვედრა, რომელიც ამ დღეს უნდა ჩატარებულიყო, გადაიტანა ჩემპიონატის უკანასკნელი დღისათვის იმის გამო, რომ ეს შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

## მ. ბოტვინიკი დაფნის გვირგვინით შეამკეს

დიდი მატჩის დამთავრების მეორე დღეს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მ. ბოტვინიკი შეხვდა პრესის წარმომადგენლებს. მსოფლიო ჩემპიონმა ილაპარაკა ვ. სმისლოვთან ბრძოლის შესახებ. სხვათა შორის, მან აღნიშნა, რომ მისი მეტოქე ვერ აღმოჩნდა მომზადებული. ეს, ბოტვინიკის აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ ვ. სმისლოვმა და მისმა მწვრთნელებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს „გამწარებული" მოჭადრაკის რევანშის წყურვილი.

მსოფლიო ჩემპიონს გაზეთების კორესპონდენტებმა რამდენიმე შეკითხვა მისცეს. მაგალითად მას ჰკითხეს: ვის თვლის იგი ყველაზე შესაძლებელ მეტოქედ 1960 წლის მატჩში? ბოტვინიკმა თქვა, რომ პრეტენდენტის დასახელება ძალზე ძნელია. თუმცა, საბჭოთა კავშირში ასეთი ათამდე იქნება, ხოლო საზღვარგარეთ, ამერიკელი ს. რეშევსკის გარდა, არიან 15 წლის რ. ფიშერი, ა. მატანოვიჩი და ბ. ლარსენი.

* * *

12 მაისს თეატრალურ-საკონცერტო დარბაზში, იქ სადაც მიმდინარეობდა მატჩ-რევანში, მოხდა მსოფლიო პირველობის საზეიმო დახურვა.

მატჩ-რევანშის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის დ. პოსტნიკოვის შესავალი სიტყვის შემდეგ ორთაბრძოლის შემოქმედებითი და სპორტული შედეგების შესახებ ილაპარაკა მთავარი მსაჯის მოადგილემ ინგლისელმა ოსტატმა ჰ. გოლუმბეკმა.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ჰ. ჰინდსტრემი (ფინეთი) აცხადებს მ. ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონად და დამსწრეთა ტაშის გრიალში ჰ. გოლომბეკთან ერთად მსოფლიო ჩემპიონს ამკობს დაფნის გვირგვინით. გროსმაისტერი ა. კოტოვი გადასცემს მ. ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს.

ტრიბუნაზეა პროფესორი ვ. ლოპონოსოვი, რომელიც ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სახელით, სადაც მუშაობს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მ. ბოტვინიკი, თავის კოლექტივის თანამშრომელს ულოცავს დიდ წარმატებას.

დასასრულს გამოვიდა მ. ბოტვინიკი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყველას.

## სპორტული საზოგადოების ანგარიშგება-არჩევნები

# ახალი ამოცანების წინაშე

◆ „ბურევესტნიკი“ ◆

აპრილის დამლევს სტუდენტთა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების 85 დელეგატი შეიკრიბა თბილისში, შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაზე.

როგორც ცნობილია, გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში სპორტსაზოგადოებათა რეორგანიზაციისას შეიქმნა სტუდენტთა ახალი სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“, რომელშიც გაერთიანდა ჩვენი რესპუბლიკის 18 უმაღლესი სასწავლებელი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე მ. სერგეევი, საქართველოს პროფკავშირების მდივანი ი. ხეთაგური, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბოჭორიძე და თბილისის სპორტული საზოგადოებრიობა. კონფერენციამ მიიღო მისასალმებელი დეპეშები ბელორუსიის, ყაზახეთისა და მოსკოვის ოლქის ბურევესტნიკელთა კონფერენციებისაგან.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ზ. პაიჭაძე, რომელმაც ილაპარაკა „ბურევესტნიკის“ მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საკავშირო პროფკავშირების IX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მომხსენებელი შეეხო საჭირბოროტო საკითხებს: „ბურევესტნიკში“ გაწევრიანების საკითხს, სპორტული კლუბების მუშაობის ორგანიზაციისა და მათ შეთანხმებულ საქმიანობას ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებთან, სპორტსმენებთან საწვრთნელი, სააგიტაციო-მასობრივ და პოლიტაღმზრდელობით მუშაობას, ბაზების მოვლა-პატრონობას, შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემის დანერგვას ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში და სხვ.

ზ. პაიჭაძემ აღნიშნა, რომ საინტერესოდ ჩატარდა კონფერენციები ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში. აქ გაიშალა თვითკრიტიკა და კრიტიკა რესპუბლიკური საბჭოს მისამართით. თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში, გარდა კიროვის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა, აქტიურად მონაწილეობდნენ კონფერენციების მუშაობაში დირექცია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. კონფერენციებს დახმარება გაუწიეს აგრეთვე ადგილობრივმა ფიზკულტურულმა კომიტეტებმა (მაგალითად, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და გორში).

კონფერენციაზე (ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) ითქვა, რომ სპორტსმენებს, რომლებმაც გაიარეს ბავშვთა სპორტულ სკოლებში სათანადო წვრთნა, უმაღლეს სასწავლებლებში ნაკლები ყურადღება ეთმობა და არასწორადაა ორგანიზებული მათთან სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, იშვიათად ეწყობა სამატჩო შეხვედრები რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენთა შორის და სხვ.

კონფერენციის ყურადღება მომხსენებელმა გაამახვილა სპორტული კლუბების მუშაობის მნიშვნელობაზე. კლუბები ჩამოყალიბდა თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. სპორტულ კლუბებს დაუმტკიცეს ხარჯთაღრიცხვა და საკუთარი მიმდინარე ანგარიშების გახსნის ნებართვა მიეცათ. ოთხ ინსტიტუტში დამტკიცდა საშტატო ინსტრუქტორებიც.

ზ. პაიჭაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ სტუდქალაქში, სადაც 5 ათასი სტუდენტი ცხოვრობს, არავითარი ფიზკულტურული მუშაობა არ წარმოებს. ეს მაშინ, როცა სტუდქალაქში ყველა პირობაა სპორტული საქმიანობის გაშლისათვის. ახლა მასზე მიმაგრებულია ორი ინსტრუქტორი, შედგენილია სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარი, მიმდინარეობს მუშაობა დილის გამამხნევებელი ვარჯიშების მასობრივად ჩატარებისათვის.

სტუდენტ-სპორტსმენთა უკეთ მომზადებისათვის „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ დააყენა საკითხი—შეიქმნას სტუდენტთა გამაჯანსაღებელი სპორტული ბანაკი. ამისათვის კარგ ბაზად გამოდგება სოხუმის ტურისტული სადგური. ზ. პაიჭაძემ ილაპარაკა აგრეთვე „ბურევესტნიკის“ სპორტული კალენდარის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ბურევესტნიკელები წელს მონაწილეობას მიიღებენ 115 ღონისძიებაში. I კვარტალში ჩატარებულ შეჯიბრებაში მომზადდა 17 ოსტატი, პირველი თანრიგის 9 და მეორესი 8 სპორტსმენი. ეს უკანასკნელი ფაქტი, — ამბობს მომხსენებელი,— მოწმობს იმაზე, თუ რამდენად არაგეგმიანია მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადება. ამიტომ, საჭიროა გეგმების საკითხი გადაისინჯოს.

მოხსენებამ ცხოველი კამათი გამოიწვია. სიტყვებში გამოსულმა მ. ცხვედაძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ლ. ყანჩაველმა (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ნ. რამიშვილმა (ქუთაისის პედინსტიტუტი), დ. მაჭავარიანმა (თბილისის პედინსტიტუტი) და სხვებმა აღნიშნეს სპორტკლუბების საქმიანობის, გამაჯანსაღებელი სპორტული ბანაკის დაარსების დიდი მნიშვნელობა. მ. ცხვედაძემ მწვავედ დააყენა საკითხი შეჯიბრებაში სტუდენტების სხვადასხვა სპორტსაზოგადოებათა სახელით გამოსვლის ფაქტების აღმოფხვრის შესახებ. მან სამართლიანად თქვა, რომ მრავალი სტუდენტი რატომღაც დღემდე არ გამოდის „ბურევესტნიკის“ რიგებში. ეს ამბავი მართლაც მავნედ მოქმედებს სტუდენტთა აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვაში. მ. სერგეევმა ილაპარაკა სპორტკლუბებსა და ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრების შეთანხმებული მუშაობის შესახებ და იმ გამოცდილებაზე, რომელიც უკვე არსებობს ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება სტუდენტთა შორის სპორტული და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის.

შემდეგ არჩეულ იქნა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ახალი შემადგენლობა 31 წევრისა და 5 კანდიდატისაგან. პრეზიდიუმში საბჭომ აირჩია: ზ. პაიჭაძე (თავმჯდომარე), მ. ცხვედაძე, ლ. ყანჩაველი, ზ. რუხაძე, თ. სხირტლაძე, თ. ნაცვლიშვილი (კომკავშირის ცკ), ო. ჩიკვილაძე (უმაღლესი სასწავლებლების პროფკავშირი), გ ოტიანი, თ. თევდორაძე (რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი), ა. ფალავანდიშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვ. ბალავაძე.

# მიღებულია სათანადო დადგენილება

გაიმართა საქ. კ. პ ხულოს რაიკომის ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები.

ბიურომ აღნიშნა, რომ რაიონის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული დაოსტატების საქმეში 1957-58 სასწავლო წელს ჩატარებულია გარკვეული მუშაობა. სკოლებში მომზადებულია 96-თანრიგოსანი. მოსწავლეთა საოლქო სპარტაკიადაზე რაიონის მოსწავლეთა გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი, მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია მოსწავლეებით და სისტემატურად იკავებს საპრიზო ადგილებს აჭარის პირველობაზე.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სპორტული სექციები და ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოები რიყეთის, ღორჯომის, დიოკნისის, ხიხაძირისა და თხინვალის საშუალო სკოლებში (ფიზკულტურის მასწავლებლები: ვ. ბესელია, გ ლასურაშვილი, ნ. მელაძე, ბ. მიქელაძე, ნ. როყვა), რის გამო გასულ სასწავლო წელს ამ სკოლებში არც ერთი ნიშნოსანი და თანრიგოსანი არ მომზადებულა.

ხიხაძირის საშუალო სკოლის კოლექტივს, რომელსაც ყველა პირობა აქვს შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის, 3 წლის მანძილზე არცერთ ღონისძიებაში არ მიუღია მონაწილეობა. რაიონში სუსტად ინერგება ტანვარჯიში, მძლეოსნობა და ფრენბურთი. ტანვარჯიშში არ მომზადებულა არც ერთი თანრიგოსანი მთელ რაიონში, მძლეოსნობაში მომზადდა მხოლოდ — 7, ფრენბურთში კი — 12. მასწავლებელთა ნაწილი ვერ უზრუნველყოფს გაკვეთილების სათანადო დონეზე ჩატარებას, განსაკუთრებით შვიდწლიან სკოლებში, სადაც ამ საგანს არასპეციალისტები ასწავლიან.

სკოლის დირექტორები ღრმად არ წვდებიან ფიზკულტურის მასწავლებელთა მუშაობას, ნაკლებად არიან დაინტერესებული ფიზკულტურულსასწავლო მუშაობით და კლასგარეშე სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებით, დაბალ დონეზეა ფიზკულტურის პროპაგანდა ახალგაზრდებს შორის, არ ტარდება ლექცია-მოხსენებები და სპორტული საღამოები. რაიონის სკოლებს სუსტად ეხმარებიან კომკავშირის ხულოს რაიკომი და პირველადი ორგანიზაციები, აგრეთვე ფიზკულტურის და სპორტის რაიონული კომიტეტი და განათლების განყოფილება.

ბიურომ მიიღო სათანადო დადგენილება რაიონის სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

რ. მიქაბერიძე

ორი ფოტო, ორი დოკუმენტი, რომლებიც დიამეტრულად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ისინი ამავე დროს, ბევრ ამბავზე მეტყველებენ.

მართალია, ბათუმი ზღვისპირა ქალაქია, მაგრამ იგი მაინც საჭიროებს საცურაო აუზს, რათა სპორტსმენები არ იყვნენ დამოკიდებულნი ბუნების კაპრიზებისაგან გადაწყვიტეს აუზის აშენება და საქმე ყველაზე კრიტიკულ წერტილში გაყინეს. სულ ცოტა იყო საჭირო და მშენებლებიც მოიხსნიდნენ „ტვირთს ზურგიდან“. მაგრამ „ეს სულ ცოტა“ გაგრძელდა უჩვეულოდ დიდხანს.

მეორე ფოტო (ქვევით) გვიჩვენებს თუ რა დიდი საქმის გაკეთება შეუძლია მონდომებას, ენთუზიაზმს და საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. იგივე ბათუმი, 22-ე სკოლა. მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით ააგეს კალათბურთის მოედანი, დანიშნეს მოედნის გახსნის დღე, მოიწვიეს ხაშურის მოსწავლეთა გუნდი ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად და პირობა შეასრულეს. სურათზე თქვენ ხედავთ თამაშის მომენტს ახალ მოედანზე.

ფოტოები მ. ზარგარიანისა.

# პირველი შედეგები

შ. მურვანიძე,
სოხუმის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხელმძღვანელა რა სპორტღონისძიებათა კალენდარული გეგმის შედგენის ახალი სისტემით, ფიზკულტურისა და სპორტის სოხუმის საქალაქო კომიტეტმა მიმდინარე წლისათვის შეიმუშავა შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემა, რომლითაც გათვალისწინებულია შეხვედრები ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, წარმოებებში — საამქროთა გუნდებს შორის, ხოლო სტუდენტებსა და მოსწავლეებთან — ფაკულტეტებსა და კლასებს შორის არა ნაკლებ 3-4 ტურად. ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები კი თავიანთ შეჯიბრებებს გამართავენ ორ ტურად ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრებ გუნდებს შორის.

ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები სიძლიერისდამიხედვით დავყავით ჯგუფებად, მაგალითად, „განთიადის“ კოლექტივები — სამ ჯგუფად, ხოლო „სპარტაკის“, „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ კოლექტივები ორ-ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოხვდნენ ის მსხვილი საწარმოო კოლექტივები, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა აღემატება 500-ს, მეორე ჯგუფში შევიდნენ კოლექტივები 300-დან 500-მდე მუშა-მოსამსახურით და ერთ სისტემაში შემავალი პატარა კოლექტივები, რომლებიც ქმნიან ერთ მსხვილ კოლექტივს, ხოლო მესამეში — სხვა დანარჩენი ორგანიზაციები. ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი სასკოლო კოლექტივები.

ახალი სისტემის დანერგვის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა არა მარტო ფიზკულტურელთა რაოდენობა, არამედ შეჯიბრებებში მონაწილეთა რაოდენობაც. მაგალითად, თუ გასულ წელს ქალაქის პირველობაზე ტყვიით სროლაში მონაწილეობდა სპორტსაზოგადოებათა ხუთი გუნდის 30 სპორტსმენი, ამას წინათ ჩატარებულ საქალაქო პირველობაში გამოვიდა უკვე 35 გუნდის 200-მდე სპორტსმენი. ასე იყო მძლეოსნურ კროსშიც. მარტო „განთიადის“ პირველობაზე მძლეოსნობაში სტარტზე გამოვიდა 40 ძირეული კოლექტივის 200-მდე ფიზკულტურელი, მაშინ, როცა გასული წლის საქალაქო პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა მხოლოდ 60 მძლეოსანი.

სპორტღონისძიებათა ახალი სისტემა გაზრდილ მოთხოვნილებას უყენებს ფიზკულტურულ კოლექტივებს სპორტული ბაზების შექმნისა და არსებულის კეთილმოწყობის საქმეში, რათა ყველა ფაბრიკას, ქარხანას, ყველა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს საშუალება ჰქონდეს საკუთარ ბაზებზე გამართოს თავიანთი პირველობები. ამ მიმართებით დიდი დახმარება გაგვიწია პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტმა. სოხუმში აგებულ უნდა იქნას ფეხბურთის სამი მოედანი, კალათბურთის — 21, ფრენბურთის— 30, ჩოგბურთის 7 კორტი, საცურაო აუზი და სხვა. დღეისათვის უკვე მწყობრში ჩადგა აფხაზეთის სამგზავრო ავტო-სატრანსპორტო კანტორის, № 2 პურის ქარხნის, ინდუსტრიული ტექნიკუმის, პედაგოგიური სასწავლებლის, საკონსერვო ქარხნის, კურორტთა სამმართველოს, აფხაზეთის პედაგოგიური სასწავლებლის ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმში ბევრი რამ გაკეთდა ახალი სისტემის დასანერგავად, სპორტსაზოგადოებათა ზოგიერთი საბჭო დღემდე ვერ გაერკვა ამ ღონისძიების დადებით მნიშვნელობაში, არ იბრძვის მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. „სპარტაკის“ (თავმჯდომარე ხ. სიჭინავა) საბჭოს მიერ წარმოდგენილი კალენდარი რამდენჯერმე იქნა გადაკეთებული, რადგან იგი შედგენილი იყო ძველ პრინციპებზე დაყრდნობით. დღემდე ადგილი აქვს დაუდევრობას სპორტული ბაზების კეთილმოწყობის საქმეშიც. მაგალითად, საორთქლმავლო დეპოში (უფროსი გვაზავა), № 7 საამშენებლო უბანზე (უფროსი ბადალოვი) და სხვაგან სპეციალური მითითების მიუხედავად დღემდე არ დაუწყიათ ბაზების კეთილმოწყობა.

გადავწყვიტეთ მოვამზადოთ რაც შეიძლება მეტი რაოდენობის საზოგადოებრივი კადრები ისე, რომ ყველა თანრიგოსან სპორტსმენს შევასწავლოთ შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაცია სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, რათა შემდეგ აქტივზე დაყრდნობით უფრო წარმატებით გავართვათ თავი ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს.

დღემდე უკვე ჩავატარეთ მსაჯთა გადასამზადებელი სემინარები ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, მოკლე ხანში მოეწყობა სემინარები ცურვასა და ფრენბურთში და უმოკლეს ხანში მივაღწევთ იმას, რომ ყველა შეჯიბრება ჩავატაროთ საზოგადოებრივ საწყისებზე.







სურათებზე: სპარტაკიადის მომენტები. მარცხნივ—უნივერსიტეტის გუნდის წევრი, ჩოგბურთელი ა. ბურჯანაძე ბურთის მოწოდებისას, შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში. მძლეოსანი ქვაჩახიძე სიგრძეზე ხტომის დროს.

# სტუდენტთა სპარტაკიადა

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პირველი სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მთელ რიგ სახეობებში უკვე დამთავრდა შეჯიბრებები, რომელმაც ცხადყო, რომ ბევრგან სათანადო პასუხისმგებლობით მოკიდებიან ამ ღონისძიებისათვის სამზადისს, გუნდები ძლიერი სპორტსმენებით დაუკომპლექტებიათ. ეს განსაკუთრებით ითქმის ფიზკულტურისა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებზე, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებზე, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვებზე, რომელთა უმეტესობამ ან ვერ შეძლეს გუნდების გამოყვანა, ან აშკარად მოუმზადებელი კოლექტივებით წარსდგნენ შეჯიბრებაზე სპორტის ზოგიერთ სახეობაში.

კლასიკურ ჭიდაობაში მონაწილეობა უნდა მიეღო პირველი ჯგუფის ხუთ გუნდს. თბილისის სასოფლო-სამეურნეო და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტებმა დროულად წარადგინეს განაცხადები. მაგრამ შემდეგ არ გამოცხადდნენ აწონაზე და, რა თქმა უნდა, არც შეჯიბრებაში მიუღიათ მონაწილეობა. პირველობა მხოლოდ სამ გუნდს — სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურისა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებს შორის გათამაშდა. წინა წლებში ჩატარებულ შეჯიბრებებზე გამარჯვებულები ყოველთვის მომავალი ინჟინრები გამოდიოდნენ. ამჯერად ფიზკულტურის ინსტიტუტმა შეძლო ორივე მოწინააღმდეგის დამარცხება და მოიპოვა პირველი ადგილი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი გამოვიდა მეორე ადგილზე. ორივე ამ გუნდმა მოიპოვა სტუდენტთა ზონალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება.

* * *

თუ კლასიკურ ჭიდაობაში შედარებით ძნელი ბრძოლების გადატანა მოუხდათ ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებს, სამაგიეროდ ადვილად დაამარცხეს მოწინააღმდეგეები თავისუფალ ჭიდაობაში და კვლავ უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს. მეორე ჯგუფის გუნდებიდან გაიმარჯვეს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო და გორის პედინსტიტუტების კოლექტივებმა

* * *

მოფარიკავეთა შეჯიბრების უკანასკნელ დღეს გაიმართა შეხვედრები დაშნაში. აქ პირველ ჯგუფში გამარჯვებულები გამოვიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივები. ამავე თანმიმდევრობით განაწილდა საერთო გუნდური ადგილებიც. მეორე ჯგუფში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ინსტიტუტების კოლექტივებმა.

როგორც ვიტყობინებოდით, ტანმოვარჯიშე ოსტატ ვაჟთა შორის შეჯიბრებას ლიდერობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ო. ქორქია, მაგრამ ნებისმიერ ვარჯიშებზე უკეთესად გამოვიდა მისი თანაგუნდელი ა. ნარიმანოვი, რომელმაც მრავალჭიდში დააგროვა 107,5 ქულა და გაიმარჯვა. ო. ქორქია გამარჯვებულს ჩამორჩა 1,1 ქულით. ცალკეულ იარაღებზე უძლიერესის სახელი მოიპოვეს ა. ნარიმანოვმა — ღერძზე (18,4 ქ.) და ტაიჭზე (18,55 ქ.). ი. ამაშუკელმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) ხტომებში—18,6 და თავისუფალ ვარჯიშში—17,7. კაჭახიძემ ორძელზე — 18,35 ქულა. და მაკალათიამ რგოლებზე—17,85 ქულა. აღსანიშნავია, რომ რგოლებზე არც ერთ მონაწილეს არ მიუღია ცხრა ქულიანი შეფასებაც კი, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში მხოლოდ კაჭახიძემ „გადააბიჯა“ ამ ზღვარს.

ნებისმიერი ვარჯიშების დამთავრების შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა შეიცვალა ქალთა შორისაც. სპორტის ოსტატმა თ. ბეთანელმა წონასწორობაზე ვარჯიში დაამთავრა განსაზღვრულ დროზე ადრე, რის გამო 9 ქულიანი შეფასებიდან მსაჯებმა სამართლიანად დააკლეს 0,6 ქულა. ფაქტიურად ამ შედეგმა გადაწყვიტა პირველი ადგილის ბედი სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. შარაბიძის სასარგებლოდ. ბეთანელი და ჯუღელი გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.

ცალკეულ იარაღებზე ბეთანელმა დაიკავა ორი პირველი ადგილი (ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში), თითო პირველი ადგილი წილად ხვდათ გ. შარაბიძეს (წონასწორობაში) და მ. ჯუღელს (ორძელზე).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა.

მეორე და მესამე ჯგუფებში გაიმარჯვეს გორისა და სტალინირის გუნდებმა.

* * *

ველოსიპედისტები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე. 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში შეჯიბრება ადვილად მოიგეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა, რომლებმაც 2:42,0-ში დაამთავრეს დისტანცია და 9 წუთით უკეთესი შედეგი აჩვენეს, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა. სხვაგვარად წარიმართა ქალთა გუნდური რბოლა 25 კილომეტრზე. ფინიშამდე 300 მეტრზე წინ იყვნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, მაგრამ ერთ-ერთი მონაწილის დაცემის გამო პირველობა „დაუთმეს“ ფიზკულტურის ინსტიტუტს.

100 კილომეტრზე საერთო სტარტით ვაჟთა შორის ფინიშთან პირველი მივიდა სპორტის ოსტატი ა. თავაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), შემდეგ იყვნენ მისი თანაგუნდელები ლ. შენგელია და ე. ბირიუკოვი. მათვე დარჩათ გუნდური პირველობაც. ქალთა 25-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა ნ. კლიმენკომ (ფიზკულტურის ინსტიტუტი). ამ სახეობაში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის მეორე ადგილი მიეკუთვნათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს.

მეორე ჯგუფში ყველას აჯობეს თბილისის პედინსტიტუტის ველოსიპედისტებმა.

* * *

შეჯიბრებაში მონაწილე 12 უმაღლესი სასწავლებლიდან მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტის მოცურავეებმა შეძლეს სათანადო მაჩვენებლების მოპოვება. მათი უპირატესობა იმდენად საგრძნობი იყო, რომ საბოლოო ჯამში დაგროვებული ქულები უდრიდა ამ ჯგუფის მონაწილე ყველა დანარჩენი გუნდების ქულათა ჯამს.

შეჯიბრების [illegible] მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტის ოთხმა სტ[illegible] პირველი თანრიგის ჩვენება. რ. არკადიევამ (100 მეტრზე თავისუფალი სტილით), ბ. კამენსკიმ (100 მეტრზე ზურგით), ვ. ბუკარევმა (200 მეტრზე ბრასით), ა. იურჩენკომ (200 მეტრზე ბატერფლაით)

საშუალო წონის შტანგისტთა შეჯიბრებაში გ. მიმინოშვილმა (რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი) და კ. ბაზაძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) სამჭიდში მოაგროვეს 370 კილოგრამი თვითეულმა, მაგრამ მიმინოშვილი უფრო მსუბუქი აღმოჩნდა მოწინააღმდეგეზე, რის გამო მასვე მიეკუთვნა პირველი ადგილი. ბაზაძემ დამარცხების თავისებური კომპენსაცია მოახდინა „ბურევესტნიკის“ ორი რესპუბლიკური რეკორდის დამყარებით. აჭიმვა რა 112,5 კილოგრამი და აკრა 118 კილოგრამი.

ქვემძიმე წონაში ზოოვეტინსტიტუტის წარმომადგენელმა ფ. ხაჯიევმა სამჭიდში 350 კილოგრამის მოგროვებით გაინაღდა პირველი ადგილი. თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ამ წონაში უძლიერესის სახელს არავის დაუთმობდა გ. სანიკიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), სპორტსმენმა ზედმეტად შეაფასა თავისი ძალები, ვერ შეძლო 115-კილოგრამიანი შტანგის აჭიმვა, მიიღო ნული და ბოლო ადგილზე გამოვიდა. კინაღამ ასეთივე ბედი ეწვია მის თანაგუნდელ ვ. ციხელაშვილს (მძიმე წონა), რომელმაც მხოლოდ მესამე ცდაზე აიღო 110 კილოგრამიანი შტანგა და სამჭიდში 370 კილოგრამის მოგროვებით გაიმარჯვა.

შეჯიბრების პროცესში დამყარებულ იქნა აგრეთვე „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს 6 რეკორდი რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდის წარმომადგენლების ა. ზახარიანისა (ქვემსუბუქი წონა) და გ. მიმინოშვილის (საშუალო წონა) მიერ.

სამდღიანი ბრძოლის შემდეგ საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე არიან პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები.

მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს ბათუმის პედინსტიტუტის ძალოსნებმა.

* * *

ჩოგბურთელთა შეჯიბრების უკანასკნელ დღეს გამოვლინდა ზონალურ თამაშებში მონაწილე გუნდები. ესენი არიან ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივები.

**გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.**

## სპორტული ქრონიკა

ხაშურის სასოფლო-სამეურნეო სკოლისა და სურამის მექანიზაციის სკოლის გუნდებს შორის ამხანაგური შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ხაშურში გაიმართა, დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 7:1.

**ზ. ვარადაშვილი**

* * *

სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა კალათბურთსა და ფრენბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ამავე სოფლის კოლმეურნეობისა და საშუალო სკოლის გუნდები.

ორივე შეხვედრაში გაიმარჯვეს კოლმეურნე სპორტსმენებმა.

**ლ. ვარამაშვილი**

* * *

სამ კვირას გრძელდებოდა სოფელ სართიჭალის (საგარეჯოს რაიონი) მოჭადრაკეთა ტურნირი. პირველი ადგილი დაიკავა ვ. ემილიანოვმა (16 ქულა), მეორე — გ. ამირხანოვმა (14 ქულა.)

**გ. ამირანაშვილი**

* * *

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც 12 სპორტსმენი მონაწილეობდა.

უძლიერესის სახელი მოიპოვა პირველთანრიგოსანმა ო. თურქესტანიშვილმა.

**ი. ხაბეიშვილი**

# დამთავრდა შეხვედრები ტალინის ჯგუფში

### საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში

ტალინის ჯგუფში დამთავრდა კალათბურთელთა ტურნირი. უკანასკნელ დღემდე წაუგებლად მიდიოდნენ ესტონელი სპორტსმენები, მაგრამ ვერც მათ გაიარეს ჩემპიონატის ეს მონაკვეთი დაუმარცხებლად. უკანასკნელ დღეს ტალინის „კალევი“ შეხვდა მოსკოვის „დინამოს“. მასპინძლებმა დედაქალაქის ძლიერ კოლექტივს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ გამარჯვებისათვის საჭირო „ნაპერწკალი“ მათ აღარ შერჩათ და განიცადეს პირველი დამარცხება — 79:82. როგორც ანგარიშს ეტყობა, ესტონელ სპორტსმენებს უკეთეს შედეგზეც შეეძლოთ ფიქრი, მაგრამ ის, რაც გააკეთეს, საკმარისი იყო. მეშვიდე ადგილი, რომელზეც დღეს იმყოფება ტალინის „კალევი“, იმის გარანტიას იძლევა, რომ გუნდი მომავალ წელსაც „ა“ კლასში დარჩება.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ არც უკანასკნელ თამაშში უღალატა ტრადიციას და კვლავ პატარა ანგარიშით წააგო შეხვედრა ლენინგრადის თანაკლუბელებთან — 53:57. საოცარია, რომ თბილისელები ზედიზედ ასეთი მინიმალური ანგარიშით აგებენ შეხვედრებს, საოცარია და ამავე დროს დასანანი. გუნდს აკლია პატარა ხრახნი, რომელსაც მოგების ცოდნა ეწოდება. თანაბარ ბრძოლაში თბილისელები აგებენ შეხვედრას, რადგან ვერ ახერხებენ ბოლომდე ინიციატივის შენარჩუნებას.

ძნელი საცნობია თბილისის „დინამოც“. ტექნიკური, ბრძოლისუნარიანი და კოლექტიური გუნდი დღეს საკმაოდ შორსაა თავისი ნამდვილი სპორტული ფორმისაგან. ვინ იფიქრებდა ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე, რომ საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ასე სუსტად ჩაატარებდა ტურს და 5 თამაშიდან მხოლოდ ერთ მატჩს მოიგებდა. უკანასკნელ დღეს დინამოელებმა განიცადეს დამარცხება კაუნასის „ჟალგირისთან“ — 64:76 და დაამთავრეს თამაშები 8 ქულით, ე. ი. პირველი წრის 7 ქულას მოუმატეს მხოლოდ ერთი. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა დიდი მოვლენა იყო თბილისის „დინამოს“ დამარცხება წარსულში. მოვლენად იმიტომ ვამბობთ, რომ დინამოელები ხშირად მთელს ჩემპიონატს წაუგებლად ამთავრებდნენ. დღეს კი თბილისის „დინამო“ თამაშს თამაშზე აგებს. საწყენია, მეტად საწყენია, რომ საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი დღეს არ გავს თავის თავს.

**ს. დუდკინი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი,**
**ტალინი, ჩვენი საკ. კორესპონდენტი.**

* * *

არც რიგის ჯგუფის შეხვედრები ტარდება მოულოდნელობების გარეშე. მესამე დღის ყველაზე დიდი სენსაცია იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, რიგის არმიელთა კოლექტივის დამარცხება ალმა-ატელი კალათბურთელებისაგან. რას შეიძლება მიეწეროს იგი? პირველ რიგში „ბურევესტნიკის“ წამყვანი სამეულის: ალაჩაჩიანის, პლატონოვისა და კალიუჟნის თავბრუდამხვევ ტემპიან თამაშს, რასაც ვერ გაუძლეს ლატვიელმა სპორტსმენებმა. თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე ალმა-ატელი კალათბურთელები წინ იყვნენ 10-12 ქულით. ჩემპიონმა შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე ანგარიშში განსხვავება შვიდამდე დაიყვანა, მაგრამ ეს იყო და ეს. მეტის გაკეთება მან ვერ შესძლო და წააგო ჩემპიონატში მეორე მატჩი ანგარიშით — 67:74.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: სკვო (რიგა)-სვერდლოვსკი — 74:67. ცსკმო-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 85·45, „სპარტაკი“ (რიგა)-სვერდლოვსკი - 80:42.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკვო რიგა | 14 | 12 | 2 | 12 |
| ცსკმო მოსკოვი | 14 | 12 | 2 | 12 |
| „დინამო“ მოსკოვი | 16 | 11 | 5 | 11 |
| „ბურ“. ალმა-ატა | 14 | 9 | 5 | 9 |
| „ბურ.“ ლენინგრადი | 16 | 8 | 8 | 8 |
| „დინამო“ თბილისი | 16 | 8 | 8 | 8 |
| „კალევი“ ტალინი | 16 | 7 | 9 | 7 |
| „სპარტაკი“ რიგა | 14 | 6 | 8 | 6 |
| „ჟალგ.“ კაუნასი | 16 | 6 | 10 | 6 |
| სვერდლოვსკი | 14 | 4 | 10 | 4 |
| „ბურ.“ თბილისი | 16 | 4 | 12 | 4 |
| „სპარტაკი“ მოსკოვი | 14 | 3 | 11 | 3 |

# სამი „მშრალი" ბურთი

როგორც კი დაიწყო თამაში, სტუმრებმა ისეთი შეტევა მიიღეს თბილისელთა მარცხენა ფრთიდან, რომ იამანიძისა და მესხის ნეიტრალიზებისათვის აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა მათი დაცვის ჩვეულებრივი განლაგება. ხაზი მაზეპოვი-კარპოვი პირველივე წუთებიდან იქნა დარღვეული და სანამ მათ მისაშველებლად „მობილიზაციაში" გამოიწვიეს შუამარბები, „დინამოს" თავდასხმამ მოასწრო კარის აღება: ერთ-ერთი იერიში მარცხენა ფლანგიდან გადატანილ იქნა მარჯვნივ, აქ მცველებმა წამით დატოვეს გაგნიძე, რომელმაც ზუსტად დაარტყა შორეულ კუთხეში. მიგალევი ამ მომენტში არ იდგა ხელსაყრელ პოზიციაში და ბურთი შეუფერხებლად ჩაეშვა ბადეში — 1:0.

ეს მოხდა მე-3 წუთზე. დაახლოებით კიდევ 10 წუთის განმავლობაში თბილისელთა უპირატესობა თითქმის აბსოლუტური იყო. „კრილია სოვეტოვმა" მთელი შემადგენლობით უკან დაიხია და ძლივს ასწრებდა მოწინააღმდეგის სწრაფი, ტემპიანი შტურმის მოგერიებას. მაგრამ სწორედ ამ „ყრუ დაცვიდან" შეძლეს კუიბიშეველებმა რამდენიმეჯერ სახიფათო გარღვევაზე გადასვლა და კოტრიკაძემ ორჯერ აიღო ძნელი ბურთები კარპოვისა და ვუზიკასაგან. შემდგომში თამაში თანდათან გათანაბრდა და თბილისელთა მხარესაც გადავიდა, სადაც ხოჭოლავა მოუცილებლად დარაჯობდა ვოლგელთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელს — რედკინს, ხოლო სიჭინავას საიმედოდ ჰყავდა ჩაკეტილი საჯარიმო მოედნის ცენტრალური ზონა. სტუმრებმა სხვა გზა ვერ მოძებნეს მოწინააღმდეგის კარისაკენ და ხშირი გადაცემებით მინდვრის შუაგულში ცდილობდნენ არ მიეცათ დინამოელთათვის ინიციატივის კვლავ ხელში აღების საშუალება.

კარგად დაწყებული თამაში გაუფუჭდათ თბილისელებსაც, თავდასხმაში ხშირად იკარგებოდა ბურთი, დაირღვა ურთიერთმოქმედება ხაზებს შორის. მხოლოდ ტაიმის დასასრულს გამოცოცხლდა სტადიონი, როცა ბუნდაძე მოულოდნელად გავიდა წინ და ძლიერად დაარტყა კარში. მიგალევი გადაარჩინა მხოლოდ იმან, რომ ბურთი სულ მცირე მანძილით აცდა მიზანს.

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 13 მაისი.

„დინამო" (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — 3:0 (1:0).

„დინამო": კოტრიკაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა; ბუნდაძე, ლოლობერიძე; გაგნიძე, ბარქაია (ნორაკიძე), მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

„კრ. სოვეტოვი": მიგალევი; მაზეპოვი, მაქსიმოვი, კოლცოვი; კარპოვი, კირში; რედკინი, ჰუსეინოვი, გუზიკი (ფედოროვი), ნოვიკოვი, დორონინი.

მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

მეორე ტაიმი დინამოელებმა დაიწყეს ისევე, როგორც პირველი: სწრაფი, შეუჩერებელი შეტევებით და ბოლომდე აღარ გაუშვიათ ხელიდან ინიციატივა. კვლავ თავისუფლად გადიოდნენ მარცხენა ფრთაზე მესხი და იამანიძე, გაცილებით უფრო გააქტიურდა გაგნიძე, ნაყოფიერად მუშაობდნენ მინდვრის შუაგულში ბარქაია და მელაშვილი.

მე-11 წუთზე „კრილია სოვეტოვის" საჯარიმო მოედანთან დანიშნულ იქნა თავისუფალი დარტყმა. ლოლობერიძემ მცველთა კედელს ზევიდან გადაუგდო ბურთი სწრაფად წინ გასულ ჩოხელს, რომელმაც მაღალ ნახტომში თავური დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა სტუმრების კარში — 2:0.

კუიბიშეველებმა სცადეს გარდატეხის შეტანა თამაშში. გუზიკის ნაცვლად მინდორზე გამოყვანილ იქნა ფედოროვი, რომელსაც მაშინვე ჰქონდა მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა, მაგრამ დორონინის მიერ მარცხნიდან მოწოდებული ბურთი მან სულ ახლოდან ააცილა კარს. ვოლგელთა ეს მცირეხნიანი კონტრშეტევა მალე იქნა ლიკვიდირებული და თამაშის მთელმა სიმწვავემ კვლავ მათ მხარეს გადაინაცვლა.

25-ე წუთზე იამანიძემ მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს მიიღო მელაშვილის ზუსტი გადაცემა, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლო, ვინაიდან წაქცეულ იქნა მცველების მიერ. 11-მეტრიანი საჯარიმო ლოლობერიძემ ზუსტად გამოიყენა და ანგარიში გახდა 3:0.

დარჩენილ დროში ეს „მშრალი" ანგარიში არ შეცვლილა, თუმცა თბილისელებს საამისო რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მატჩის მსაჯის ნ. ხლოპოტინისა და მისი თანაშემწეების მეტად დაბალი, არაკვალიფიციური მსაჯობა. მთელი ეს ბრიგადა სისტემატურად უშვებდა შეცდომებს თამაშგარე მდგომარეობის გარკვევისა და დამნაშავის სასარგებლოდ მსაჯობისას.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი დამთავრდა აგრეთვე თბილისის „დინამოს" გამარჯვებით — 3:2.

რ. ქორიძე



წლგომარეობა 15 მაისისათვის
ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 8 | 4 | 4 | 0 | 22.10 | 12 |
| „ტორპედო" | 8 | 3 | 5 | 0 | 21:11 | 11 |
| „ლოკომოტივი" | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 10 |
| „დინამო" კ. | 8 | 2 | 5 | 1 | 15:10 | 9 |
| „შახტიორი" | 9 | 3 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| „დინამო" თბ. | 9 | 4 | 1 | 4 | 15:24 | 9 |
| „დინამო" მ. | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 8 |
| ცსკ მო | 7 | 3 | 2 | 2 | 11:6 | 8 |
| „ზენიტი" | 7 | 2 | 3 | 2 | 8:10 | 7 |
| „კრ. სოვეტოვი" | 9 | 1 | 5 | 3 | 7:12 | 7 |
| „მოლდოვა" | 8 | 0 | 4 | 4 | 9:18 | 4 |
| „ადმირალტეეცი" | 9 | 2 | 0 | 7 | 15:29 | 4 |



## ინგლისი — იუგოსლავია

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მთელი მსოფლიოს სპორტული წრეები უდიდესი ინტერესით მოელოდნენ მატჩს ინგლისისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

იუგოსლავიის ნაკრებმა ამ ბოლო ხანებში მთელ რიგ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო შეხვედრებში, ხოლო ინგლისელთა გამარჯვებები საყოველთაოდ ცნობილია. ინგლისური პრესა და აგრეთვე ინგლისის ნაკრები გუნდის მწვრთნელი უინტერბოტომი კმაყოფილებით და დამშვიდებით აღნიშნავდნენ, რომ მიუნჰენის კატასტროფის შედეგად აუნაზღაურებელი დანაკლისი თითქმის მთლიანად კომპენსირებულია და ინგლისის ნაკრები სრულ მზადყოფნაში იმყოფება მომავალი ჩემპიონატისათვის. ეს სიტყვები განმტკიცებულ იქნა საქმით: ინგლისის ნაკრებმა ბოლო 19 შეხვედრიდან 18 თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

და აი, ბელგრადში 60 ათას მაყურებლის თანდასწრებით, რომელთა შორის მრავლად იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ფეხბურთის სპეციალისტები, 11 მაისს შედგა მატჩი იუგოსლავიისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის. ინგლისელებმა მინდორზე გამოიყვანეს ზუსტად ის შემადგენლობა, რომელმაც ამ დღეებში „უემბლის" (ლონდონი) სტადიონზე დამარცხა პორტუგალიის ნაკრები: ჰოპკინსონი, ჰოუ, ლენგლი, [illegible], სლეიტერი, დუგლასი, ჩარლტონი, კევანი, [illegible] თადი საბრძოლო შემადგენლობით თამაშობდა იუგოსლავიაც.

იდგა საშინელი სიცხე. უნგრელმა მსაჯმა ი. ქოლტმა მატჩის ოქმში ჩაწერა: 30 გრადუსი ჩრდილში.

მოლოდინი, რომელიც გამოწვეული იყო ამ მატჩის მიმართ, არ გამართლდა. ინგლისის ნაკრები თამაშობდა საოცრად ინერტულად, უსისტემოდ და დიდი შეცდომებით ყველა ხაზზე. ფრანგული გაზეთი „ეკიპი" მატჩის შესახებ წერდა, რომ: „შეიძლება ეს არ იყო ინგლისის ნაკრები გუნდი, შეიძლება ეს აქტიორები იყვნენ შენიღბულნი რაიტისა და მისი მეგობრების ნიღბებით". მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იყო ნამდვილი ინგლისის ეროვნული ნაკრები, რომელმაც განიცადა სასტიკი, სკანდალური წაგება ანგარიშით 0:5.

პირველი ბურთი 23-ე წუთზე გაიტანა მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მილუტინოვიჩმა. ტაიმის დამთავრებამდე ჰოპკინსონის კარში გატანილ იქნა კიდევ 3 ბურთი, მაგრამ უნგრელმა მსაჯმა ხამჯერ აღნიშნა თამაშგარე მდგომარეობა.

შესვენების შემდეგ იუგოსლავები კვალვ ბრწყინვალედ თამაშობდნენ და ზედიზედ გაჰქონდათ ბურთები მოწინააღმდეგის კარში. უკვე ყოველგვარი თამაშგარე მდგომარეობის გარეშე (ბურთები გაიტანეს ვესელინოვიჩმა და სამჯერ პეტაკოვიჩმა).

ინგლისის ნაკრებმა განიცადა ერთ-ერთი უდიდესი დამარცხება თავისი არსებობის ისტორიაში — 0:5!

გუშინ გმირთა მოედნიდან დაიძრნენ ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს ველოსიპედისტთა მრავალდღიანი ველორბოლის პირველი ეტაპის (თბილისი-ხაშური) მონაწილენი. სრულ 11 საათზე მესტარტემ აიქნია წითელი ალამი და ველოსიპედისტები შეუდგნენ პირველ დაბრკოლებას — საბურთალოს აღმართს. მათ ფინიშამდე 149 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი, ამიტომ თითქოს არ ჩქარობდნენ, ძალებს ინახავდნენ და თან ერთმანეთს ზვერავდნენ, რომ რომელიმე მოულოდნელად წინ არ გაჭრილიყო.

ზაჰესი, მცხეთა, ბებრის ციხე... 30 ველოსიპედისტი ერთად მიარღვევს ჰაერს. ასეთი „კოლექტიური" სვლა დიდხანს არ გაგრძელებულა, იგოითთან ჯგუფს გამოეყო ლოკომოტიველი კვინიკაძე, შემდეგ მას მიჰყვა დინამოელი შენგელია. ორივე ლიდერი დიდი სისწრაფის განვითარებით საკმაო მანძილით მოწყდა ძირითად ჯგუფს. მაგრამ კვინიკაძემ აღებულ ტემპს ვერ გაუძლო და ნელნელა ჩამორჩა შენგელიას. ამასობაში ძირითად ჯგუფს კიდევ ორი ველოსიპედისტი — დინამოელი თავაძე და ბურევესტნიკელი კლიმოვი წამოეწია. ეს წყვილი ჯერ დაეწია კვინიკაძეს და შემდეგ მხარში ამოუდგა შენგელიას.

სამივე ლიდერი ერთად შევიდა ხაშურში და ფინიშამდე რამდენიმე მეტრი იყო დარჩენილი, რომ ერთმანეთს დაშორდნენ. ფინიშის ხაზი გადაკვეთა თავაძემ (3:37.03), მას მიჰყვა კლიმოვი (3:37.05) და შენგელია (3:37.06). ამრიგად, პირველ ეტაპზე დაწინაურდა თბილისის I გუნდი, მეორეზეა აფხაზეთის გუნდი. დღეს ხაშურში სტარტს აიღებენ ველოსიპედისტები და გამოსწევენ თბილისისაკენ.

ნ. გუგუშვილი,
ა. გუნია.

## „სლავია" თბილისში

გუშინ თბილისში „დინამოს" ცენტრალურ კორტზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფრენბურთში. თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა და ვაჟთა გუნდებმა მიიღეს ბულგარეთის „სლავიას" სპორტსმენები. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ქალთა კოლექტივები.

ბურთი თამაშში შეიყვანეს თბილისელებმა და გახსნეს კიდეც ანგარიში. შემდეგში მასპინძლებმა, რომლებიც ზედმეტად ნერვიულობდნენ, დაკარგეს მოწოდების უფლება. მალე ბულგარელთა გუნდის კაპიტანმა მ. ტერზიევამ, რომელსაც ამ მატჩამდე 53 საერთაშორისო შეხვედრაში მიუღია მონაწილეობა, წამოიწყო კომბინაცია და მანვე შესანიშნავად დაავვირგვინა. ანგარიში გათანაბრდა, რასაც მოჰყვა ც. აბუაშვილის ორი შეცდომა. შემდეგ თბილისელებმა ოდნავ გამოასწორეს თამაში და წამოეწიენ მოწინააღმდეგეს — 7:7.

ბულგარელებიდან შესანიშნავად თამაშობდნენ მ. დიმჩევა (№ 1), ე. იანევა (№ 10) და ს. ნიკოლოვა (№ 11). იანევამ მხოლოდ მოწოდებიდან გუნდს სამი ქულა მოუტანა ზედიზედ, რამაც გადაწყვიტა პირველი პარტიის ბედი.

სტუმრებმა გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა გამოავლინეს მეორე პარტიაშიც და ანგარიში პირველი მოწოდებიდანვე წაიყვანეს. ისინი უფრო ხშირად გადიოდნენ გადამწყვეტ დარტყმებზე ბადესთან, რაც თითქმის ყოველთვის ქულის მოპოვებით მთავრდებოდა. როცა ანგარიში გახდა 9:2 ბულგარელების სასარგებლოდ, თბილისელებმა ზედიზედ აიღეს 5 ქულა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ეს პარტიაც სტუმრებმა მოიგეს.

მესამე პარტია კვლავ „სლავიას" ფრენბურთელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 15:10 დამთავრდა.

სხვაგვარად წარიმართა ვაჟთა კოლექტივების მატჩი.

ბულგარელები გაცილებით ძლიერები იყვნენ თავდასხმაში (განსაკუთრებით პონდალოვი, პიპერკო, ტრინკოვი, დუდნოვი), ვიდრე დაცვაში. პირველი პარტიაში სტუმრებმა თბილისელთა 16 ქულის წინააღმდეგ 14 მოაგროვეს, რაშიც სათანადო წვლილი მიუძღვის გუნდის კაპიტანს, რომელიც შესანიშნავად ფლობს მოწოდების ტექნიკას. თბილისელებმა თავდასხმისა და დაცვის შეთანხმებული თამაშით, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ი. ბოიკო, ვ. კაჭარავა, ს. ბუინოვი, თ. კუჭავა, შეძლეს ამ მეტად დაძაბული პარტიის თავიანთ სასარგებლოდ დამთავრება. აღსანიშნავია, რომ პირველ პარტიაში ანგარიში ერთხანს სტუმრებს მიჰყავდათ — 8:4; 11:7, მაგრამ ბულგარელთა შეცდომებმა დაცვაში და ვ. კაჭარავას შესანიშნავმა დარტყმებმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ პარტიის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

სტუმრებმა ვერც მეორე პარტიაში გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა თბილისელებს და დამარცხდნენ — 6:15.

მესამე პარტია „სლავიას" შეტევით დაიწყო. ტრინკოვმა და პონდალოვმა ანგარიში ექვსამდე გაზარდეს. როგორც ჩანს, პირველი ორი პარტიის მოგებით თბილისელები თვითდამშვიდებას მიეცნენ, დაირღვა ურთიერთკავშირი, დაცვა ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, დაღლილობა დაეტყო ვ. კაჭარავასა და ი. ბოიკოს, რასაც კიდევ რამდენიმე შეცდომა მოჰყვა და ანგარიში გახდა 10:1. პარტია დამთავრდა ბულგარელთა გამარჯვებით 15:6.

შეხვედრის ბედი გადაწყვიტა მეოთხე პარტიამ. როცა ანგარიში იყო 11:4, მოედანზე გაიმართა ნამდვილად საინტერესო თამაში. ბურთი დიდხანს გადადიოდა მოედნის ერთი ნახევრიდან მეორეზე, ქულის გაკეთება კი ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა. ბოლოს ისევ თბილისელებმა შეძლეს ინიციატივის აღება და მოიგეს პარტია 15:11 და ამასთან შეხვედრაც — 3:1.

ლ. ფალავანდიშვილი,
ო. ივდოშვილი.




რედაქტორი ი. უგულავა.


გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელექტროდეპოს ქ. № 12. დაბეჭდილია ... თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3 90 31, ... და გამომშვებების — 3 01 06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02162